ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N47

ქ.თბილისი

2 დეკემბერი, 2024 წელი
11[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

ლევან არველაძე

ოთარ გრიგოლია

ლევან დავითაშვილი

ნინო ვარდოსანიძე

კონსტანტინე ზარნაძე

მარიამ ზაქარიაშვილი

ანა კაკაბაძე

ნიკოლოზ კახეთელიძე

ანა კილაძე

კახაბერ ლაბუჩიძე

ნათია მოდებაძე

შალვა ოგბაიძე

გურამ ოქროპირიძე

რევაზ სოხაძე

დავით ფარცვანია

თამარ ჩახვაშვილი

ზურაბ ჩიკვილაძე

გივი ჩხარტიშვილი

ავთანდილ ცინცაძე

ალექსანდრე ხუჯაძე

ლევან ჯაფარიძე

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განაცხადა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ გააკეთა არჩევანი და ის არის ურყევი, თუმცა, მიმდინარეობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა. მისი თქმით, ყველას აქვს უფლება გამოხატოს პროტესტი, რაც არაერთხელ დაუდასტურებია ხელისუფლებას, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის იყოს მშვიდობიანი. აქვე განაცხადა, რომ ასევე, მნიშვნელოვანია, გამოძიებული იქნას ის ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ დღეების განმავლობაში და მიმართა საკრებულოს წევრებს: „ყველას გთხოვთ, შევინარჩუნოთ სიმშვიდე. ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, გავაგრძელოთ ყველა ის პროცესი, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის. ამისთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა ზუსტად ამ ხელისუფლებამ და მომავალში კიდევ ძალიან ბევრს გააკეთებს, თუმცა, დამოკიდებულებაც უნდა იყოს იმგვარი, რომ არავინ არ უნდა განახორციელოს პოლიტიკური მანიპულაცია ამ მიმართულებით. ჩვენი პოზიცია, რაც არაერთხელ იქნა განმარტებული ბოლო დღეების განმავლობაში უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ, არის ის, რომ გავაკეთოთ ყველაფერი, რაც არის ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, სასიკეთო, განვახორციელოთ და შევასრულოთ ყველა ის ვალდებულება, რომელიც ნაკისრი გვაქვს ევროინტეგრაციის მიმართულებით. ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ და ჩვენ აუცილებლად გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა.“

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის აკაკი ალადაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვლადიმერ ბოჟაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ირაკლი ხელაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზაზა თავაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“.

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის აკაკი ალადაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია საკრებულოს ოთხი წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 42-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება არ აქვს იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ დაიკავა ამ კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა. ნინო ვარდოსანიძემ განმარტა, რომ ზემოთ ხსენებული შეუთავსებლობის ფაქტი გამოვლინდა საკრებულოს რამდენიმე წევრთან მიმართებაში. ესენი არიან: ირაკლი ხელაძე, ვლადიმერ ბოჟაძე, აკაკი ალადაშვილი, ზაზა თავაძე, სოფიო ჯაფარიძე, საბა ბუაძე, ცოტნე კობერიძე და ანა გოგოლაძე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პირადი განცხადებით საკრებულოს მომართეს ირაკლი ხელაძემ, ვლადიმერ ბოჟაძემ და აკაკი ალადაშვილმა. რაც შეეხება ზაზა თავაძეს, მას არ მოუმართავს საკრებულოსთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის განცხადებით, თუმცა, რადგან არც საქართველოს პარლამენტის მიმართ აქვს გაცხადებული ნება, რომ სურს მანდატის დატოვება, დღის წესრიგით წარმოდგენილია მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. ხოლო სოფიო ჯაფარიძემ, საბა ბუაძემ, ცოტნე კობერიძემ და ანა გოგოლაძემ საქართველოს პარლამენტს მიმართეს პარლამენტის წევრის მანდატის დატოვების განცხადებით, რაც აცნობეს საკრებულოს და აქედან გამომდინარე, საკრებულოს მიმდინარე სხდომაზე მათი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი არ განიხილება.

გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა კოლეგებს თბილისის საკრებულოში გაწეული მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის, წარმატებები უსურვა მათ და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ისინი ძალიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიიღებენ ჩვენი ქვეყნის და ქალაქის საკეთილდღეოდ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვლადიმერ ბოჟაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ირაკლი ხელაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზაზა თავაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 4 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე — გიორგი ახვლედიანი